გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქუჩის №10, №60, სააკაძის ქუჩა №1, სადგურის ქუჩა №1 მდებარე საცხოვრებელი კორპუსების გადახურვისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის №381

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი 3 აპრილი 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხანახმედ გარიბოვი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

მანუჩარ ჯოხაძე- კომისიის წევრი;
ნიკოლოზ დუჩიძე – კომისიის წევრი;

ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;

რამაზ ბუდაღაშვილი – კომისიის წევრი;

ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;
აზა ონიანი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქუჩის №10, №60, სააკაძის ქუჩა №1, სადგურის ქუჩა №1 მდებარე საცხოვრებელი კორპუსების გადახურვისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №381 კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების პაკეტის გახსნა/განხილვა და გამარჯვებულად გამოვლენა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრის ნიკოლოზ დუჩიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქუჩის №10, №60, სააკაძის ქუჩა №1, სადგურის ქუჩა №1 მდებარე საცხოვრებელი კორპუსების გადახურვისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №381 კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ, 2012 წლის 26 მარტს 13:35 საათზე:

1. შპს „შა-გი 2010", საკონკურსო წინადადების ფასი 2050 ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „შა-გი 2010"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომელიც შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „შა-გი 2010"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა №381 კონკურსზე შპს „შა-გი 2010".

დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს სახელმწიფო შესყიდვების სესახებ ხელშეკრულების მომზადება.

4. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი და დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge –ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე:	ხანახმედ გარიბოვი
კომისიის წევრები:	მანუჩარ ჯოხაძე
	ნიკოლოზ დუჩიძე
	აზა ონიანი
	ნოდარ ბერუაშვილი
	რამაზ ბუდაღაშვილი
	ოთარ გავაშელიშვილი